№ 36 თებერვალი 17, ოთხშაბათი 1888 თებერვალი 17, ოთხშაბათი № 36

ГАЗЕТИ ДІРІЗ

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	70
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და ეერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიეგზავნოთ: თბილისს რედაქციას, ახალ ბებუოოვის ქუჩ., სახლი № 9, ბ-ნ ნიდდეველის საგაზეთოს. გოლოგინის პროსპექტი, წერა-კითხვის სახლთან დოუბის კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1888 საპოლიტიკო- და სალიტერატურო- გაზეთი 1877 1888

ტფილისი, 15 თებერვალი

გუშინ ჩვენ ჩამოვაგდეთ სიტყვა მასზედ, რომ ევროპაში ზოგიერთგან მდინარეობს აზრი მეორე კავშირის შედგენისა წინააღმდეგ «სამთა კავშირისა». ამ ახალ კავშირისათვის იგულისხმება, როგორც უკვე მოგეხსენებათ, სამი დიდი სახელმწიფო რუსეთი, საფრანგეთი და ინგლისი. რუსეთსა და საფრანგეთზედ რაც სათქმელი იყო, გუშინ უკვე ვაუწყეთ ჩვენს მკითხველებს. დღეს მოგვიხდება ლაპარაკი მარტო იმაზედ თუ,—რა იმედია ინგლისის მხრით, რომ მიუდგეს რუსეთსა და საფრანგეთსა და მათთან ერთად მეორე კავშირი შეადგინოს ევროპაში.

ინგლისის მომხრეობაზედ ლაპარაკი დაიწყო ჯერ იმ დღიდამ, როცა ლორდი ჩერჩილი ეწვია რუსეთსა, და აქედამ საფრანგეთსაც ესტუმრა. ეს ლაპარაკი გაძლიერდა, როცა შეიტყეს, რომ პრინცი უელსისა, ინგლისის ტახტის მემკვიდრე, პარიჟში მივიდა და პრეზიდენტი სადი-კარნო ინახულაო. ამ ამბავს საფრანგეთის გაზეთებმა ყურადღება მიაქციეს და იცნეს ნიშნად დაახლოებულისა. აქ დაუჯერებელი და შეუძლებელი არა იყო-რა. მტრობა საფრანგეთისა და გერმანიისა დიდის ხნიდამ მოდის. სლავიანები და გერმანელებიც არ იოქმის, რომ ძალიან კარგად იყვნენ მოთავსებულნი ერთმანერთთან და ნამეტნავად უკანასკნელ დროთა პოლიტიკა გერმანიისა მეტად გამწარდა სლავიანებისათვის. ამ ბოლოს ხანებში გაძლიერებული საკოლონიო პოლიტიკა გერმანიისა ვერაფერს დღეს უქადის ინგლისის საკოლონიო პოლიტიკას. აი ეს გარემოება იძლევინება იმ საბუთს, რომელიც შესაძლებელად ჰხდის რუსთ-ფრანგთ-ინგლისის კავშირსა.

ამას დაუმატეთ ისიც, რომ ინგლისი დიდის ნდობით ვერ მიენდობა გერმანიას, რომელიც მეგობრის გაცემაზედაც ისე მარდია, როგორც მტერთან გამეგობრებაზედ იმისდა მიხედვით თუ,—რომელის რა უჯობს. აი თუნდა მაგალითი. საფრანგეთის გაზეთი «გოლუა» აი რა რიგად ამხილებს თ. ბისმარკსა. 1880 წ. თ. ბისმარკმა უთხრაო საფრანგეთის ელჩს ბერლინში, გრაფ სენ-ვალლიეს, ზავი შეეკრთა გერმანიამ, ავსტრიამ და საფრანგეთმაო და საბუთად ის მოიუკანაო, რომ რაც-კი ამ სახელმწიფოთა შორის იმები ყოფილა, სარგებლობა დარჩენიათ მარტო ინგლისსა და რუსეთსაო. საფუძველად ამ ზავს ის უნდა დაედოსო, რომ ერთი მტკაველი მიწაც არ დაეთმოს არც ინგლისს, არც რუსეთს ბალკანის ნახევარ კუნძულზეო. იმისთვის რომ საფრანგეთის ელჩი მოემხრო საზაოდ, თ. ბისმარკს მითომ ეთქვას, რომ ნაწილს ელზას-ლოტარინისას დაკუბრუნებ საფრანგეთსაო.

თუ ეს მართალია, რა თქმა უნდა, რომ იმედი ინგლისის მომხრეობისა უნდა გაუძლიერდეს გერმანიის მოაშორისშირეთა. გარდა ამისა ესეც ცნობილია, რომ რაკი ინგლისი და რუსეთი მოჭშველდნენ ერთმანერთს ავდანისტანის გამო., მათ შორის ჯერ ხანად არა ვითარი სადავო აღარა არის-რა, მით უფრო, რომ ინგლისის სახელმწიფო კაცებს იმედი მოსცემიათ რუსეთისაგან ინდოეთისაკენ არ გავიწევო და ავდანისტანს ჩემს ზედ-მოქმედების გარეგ ვამყოფებო. ეს თვითონ სალისბურის წარმოსთქვა ზედა-პალატაში და ქვედა-პალატაში ფორგიუსონმა განმეორა.

ყოველ ამან განაცხოველა იმედი ინგლისის დაზავებისა რუსეთთან და საფრანგეთთან. ასეთმა მიმართულებამ საქმისამ ძალიან შეაფუცხუნა გერმანია და გერმანიის გაზეთები დაფითა და ნაღარით გაიძახიან, რომ ეგ ამბავი დაუჯერებელია, თავის დღეში არ მოხდებაო. განა დასაჯერებელიაო, ამბობენ გერმანიის გაზეთები: რასაც საფრანგეთიდამ იწერებიანო? ლორდ ჩერჩილს ვითომ ეთქვას რუსეთისათვის, რომ ინგლისი ხელს არასაფერში შეგიშლის ევროპაში, ოღონდ ფორმალური პირობა მოგვეცი, რომ შუა-აზიაში არ გაიწევ-გამოიწევ და მით ინდოეთის საზღვარზედ საომრად საქმეს არ გაგვიხდიო. განა ეს შესაძლებელიაო! ჭკითხულობენ გაოცებით გაზეთები. ნუ თუ ინგლისი, რომელიც აი ეს სამი-ოთხი თაობა სამხრეთ-აღმოსავლეთს ევროპიისას ზედ აღევს თავის პოლიტიკის შემძლებელობას, ნუ თუ ეხლა ხელს აიღებს და სამხრეთ-აღმოსავლეთს ევროპიისას თავის ბედს მიაჩემებსო?

ეს არაფერი, რომ ამ ზავს ცეცხლსავით ეკიდებიან გერმანიის გაზეთები. უამისობა იმათ არ შეუძლიანთ, იმიტომ-რომ, თუ ინგლისი მართლა მიემხრო რუსეთსა და საფრანგეთსა, გერმანიას ცუდი დღე დაადგება და იქნება დდევანდელი მოზავენიც შემოეფანტნონ, ნამეტნავად იტალია, რომელსაც უინგლისოდ საფრანგეთი ცხვირიდამ ძმარს წაადენს თავისის ძლიერის ფლოტითა. საქმე ის არის, რომ განვლენინი გაზეთი ინგლისისა «Times»-ი ძალიან ცხარედ ეურჩება და უარჰყოფს ყოველს იმედს ინგლისის დაახლოებისას რუსეთთან და საფრანგეთთან. ეს გაზეთი ამბობს, რომ ინგლისი ხომ ისე ვერ დაჰზავდება რუსეთს, თუ ხელი არ აიღო თავის აღმოსავლეთის პოლიტიკაზედ რუსეთის სასარგებლოდაო. ამას ინგლისი თავის დღეში არ ინდომებსო. ინგლისს ავსტრიასა და იტალიასთან ერთად დიდი ინტერესები აქვს ბალკანის ნახევარ კუნძულზედ და ნამეტნავად ბოლგარიის საქმეშიო. ამიტომაც ინგლისი გულ-გრილად ვერ დაუყურებს ურრებას. იმას, ვინც აქ შეეცდება გაწევ-გამოწევასა და თავის მბძანებლობის გაძლიერებასაო. თუ ბისმარკი, თავის დაპირებისამებრ, ხელს არ გასძრავს, თუ ვინიცობაა ვინმე შეესია ბოლგარიასა, ინგლისი, ავსტრია და იტალია უკან არ დაიხევენ და უსაფუოოდ ჩაერევიან საქმეშიო. რაკი საქმე ამ წრეზედა სდგას, ამბობს „Times“, ზავი და კავშირი რუსეთსა და ინგლისს შორის შეუძლებელია და ის იმედები, რომელსა მიზეზად ლორდი ჩერჩილი შეიქმნა, არავითარის ეურადღების ღირსი არ არისო.

ეს ხომ ასეა, მაგრამ, ჩვენის ფიქრით, ინგლისის გადადგომის ფიქრი თ. ბისმარკს, როგორც ეტყობა, გულიდამ ამოდებული არა აქვს. ამას ამტკიცებს იტალიის ყოფა დდევანდელ დღეს. იტალია მეტად გაუმწვავდა საფრანგეთსა ასე, რომ ევროპაეს ფიქრი მიეცა, თოფი ხომ აქედამ არ ჭლამის დაწეკესაო. იტალია, გერმანიისაგან გულ-მოცემული, ძალიან აუშალშილდა დღეს საფრანგეთსა. ეს თ. ბისმარკის წუუქეზებლად არ უნდა მომხდარიეო და აი რა ანგარიში უნდა ჭქონდეს თ. ბისმარკსა: იტალიას და საფრანგეთს რომ ომი აუტეხეს, საფრანგეთი მთელს ზღვის პირს იტალიისას მიუსევს თავის ძლიერს ფლოტსა და შეჰკრავს მთლად. ეს საფრანგეთის ფლოტის ყოფნა ხმელთა-შუა ზღვაში საფრანგეთის გაძლიერებას მოასწავებს ამ ზღვაზედ და საფრანგეთის აქ გაძლიერება დიდად შეჰხუთავს ინგლისის ინტერესებსა. აშკარაა, ინგლისი ამას ძალიან იუარებს და საფრანგეთი და ინგლისი ერთმანერთს წაეჭიდებიან. თ. ბისმარკის სურვილიც ეს არის. იტალიის დდევანდელს აშლას წინააღმდეგ საფრანგეთისა შესაძლოა, რომ სწორედ ეს სარჩული ედოს და რაკი ვიცით ეს ამბავი სადა სცემს, მეტის-მეტი არ იქნება ვიგულისხმოთ, რომ თ. ბისმარკს ინგლისისა და საფრანგ-

ფელეტონი

დიაბოლინა

მოთხრობა

ვიტტორიო ბერსეციისი

(დასასრული*)

VII

შემოდგომის თბილი დღე იყო; მზე ისე აცხუნებდა, თითქო ზაფხულიაო. სიცხემ დასთენთა თავ-შიშველი დიაბოლინა, გაუბრიუა გონება და აურდაურია ფიქრები. აგერ გასცილდა კიდეც დიაბოლინა თომაზოს სახლსაც. გზაზედ ზოგი ვინ შემოხვედა, ზოგი ვინა. ყველას უკვირდა, რა ამბავია ამ ქალის თავსა, სად მიეშუა ასე თავ-შიშველო, მაგრამ დიაბოლინას არც-კი არავინ შეუნიშნავს. მალე ბილიკი დახვდა გზაში. ბილიკი სერ-სერ მიდიოდა. დიაბოლინამ შეუხვია ამ ბილიკისაკენ, თუმცა-კი არ იცოდა, რად მიედევარ ბილიკსა. აგერ კარგა გზაც გაიარა და უცებ დაინახა, რომ ვიღაცა კაცი მოდიოდა. ის კაცი ალბერტო იყო. დიაბოლინამ შორიდამვე იცნო ალბერტო; დიაბოლინას იღბალს ემუშავნა და გამოეგზავნა იმისთვის ეს კაცი. ქალი გაეშურა იმისკენ, გადაეხვია, მოეგდო კისერზედ და, თითქო ბურანშია და სიცხისაგან ჰბოდავსო, ტკბილად და ალერსით ეუბნებოდა: «ალბერტო, ალბერტოო!»

— ტილდ! გაიკვირვა შეშინებულმა ახალგაზდამ, — ნუ თუ შენ ხარ? რა მოგსელია, რა ყოფაში ხარ!..

სიყვარულით აღგზნებულმა ალბერტომ მოჰხვია ხელები და ჩაიკრა გულში აღელვებული და აღშფოთებული ყმაწვილი ქალი. დიაბოლინამ გაინთავისუფლა მალე თავი, ძალა დაატანა თავს, იქნება დაემშვიდდეო, და უპასუხა:

— ეხლა მე აღარც სახლი მაქვს და აღარც არაკინა მყავს ქვეყანაზედ. მივდიარ, მაგრამ სადა? მე თვითონსაც არ ვიცი. მინდა-კი ისე შორს წავიდე სადმე, რომ ჩემი ხსენებაც აღარ მოსწვდეს ამ არე-მარესა. არ ვიცი, რა გაეკეთო და ან როგორ ვირჩინო თავი, მაგრამ არა უშავსრა, როგორც იქნება მოვინაგრებ ლუკმა პურსა... მხნეობა მიყვარს და ღონე შემწევს...

— ტილდ, გააწყვეტინა სიტყვა ალბერტომ, ნუ ამბობ მაგასა, ნუ წარიკვეთავ სასოებას... სჯობს ის მითხრა, რა ამბავია და რა მოხდა...

დიაბოლინა გაწითლდა, აენთო და თავი გააქნია იმის ნიშნად, რომ ვითომ არ მინდა ესთქვა, რაც მოხდაო.

— კარგი, ნუ მეტყვი, არ ჩაგაციდები, — განაგრძო ალბერტომ ტრფიალებით ლაპარაკი. მაგრამ ამას მაინც როგორ ამბობ, რომ ქვეყანაზედ აღარაკინა მყავსო?.. მაშ მე ვინა ვარ?

— თქვენ?—გაიკვირვა დიაბოლინამ. —თქვენ რა უნდა იყოთ ჩემთვის?—არაფერი!

— ყველაფერი ეიქნები, გეფიცებით!—გულითა და სულით წაილაპარაკა საჩქაროზედ ალბერტომ, გამოართვა ხელები დიაბოლინას და მიიზიდა თავისაკენ.

გულის-თქმამ უფრო-და-უფრო შეიპყრო ყმაწვილი კაცი. ტლდას ცხელი, ათრთოლებული ხელები ცეცხლს უკიდებდა ალბერტოს.

— დიაღ, ყველაფერი ეიქნები შენთვის, —განაგრძო ალბერტომ. საკმაოდ ვეიმეთ და ვებრძოლეთ ჩვენს თავს... ახლა მაინც შემიკოდე მეცა და შენი თავიცა. ბედნიერება მოგველის და საუკუნოდ-კი თავს ვიუბედურებთ.

— კარგი, სთქვა უცბად დიაბოლინამ, თითქო უეცარს გადაწყვეტილებას დაადგაო. რახან შენი გულითქმა აგრე ძლიერია, რომ ყველაფერსა სძლევს, ჰაჰ ჩემი ხელი. მე შენი ვარ საუკუნოდ.

ალბერტო სიხარულით ცას დაეწია; გულმა ისე დაუწყო ძგერა, რომ მკერდიდამ ამოვარდნას ჰლამოდა. ყმაწვილმა კაცმა ვეღარ მოითმინა, მოჰხვია ხელი დიაბოლინას და ჩაიკრა გულში. ახლო-მახლო ჭაპანებადაც არაკინ არ იყო; მხოლოდ ბეღურა ჩიტები ჭყრიპინებდნენ ძეძვებში და გაჭკნადათ ყვიელ-ხიელი. ხელი-ხელ ჩაკიდებულნი სატრფონი დაადგნენ ბილიკს და სულითა და გულით მიეცნენ სიყვარულსა და ნეტარებას. აღარ ახსოვდათ, ან რა დროა, ან რა ადგილიაო. უცბად დაიგრიალა ცამ და ჭექა-ქუხილმა აქეთ-იქით მიახედ-მოახედა ეშხით თრობილნი; მთის წვერიდამ სწრაფად მოეშურებოდა წვიმის ღრუბელი. მეტი ღონე არ იყო, უნდა დაბრუნებულიყვნენ სოფელში და თავიანთ საქმისა-კი ჯერ არა მოეფიქრებინათ-რა. ალბერტომ მოკლედ უამბო, როგორ მოვიქცეთო. საღამოს ცხრა საათზედ იქ დაგიცდი ეტლით, საცა ხიდია წყალზეო. სინამ-კი შენ დაბრუნდი მიძაშენის სახლში და იქ დაიცადე დანიშნულს დროამდეო.

როცა დიაბოლინამ მოატანა სირბილით ბიძის სახლს, წვიმა უკვე გაიმართა და კოკაბირველად ასხამდა. მენიკამ დაცინვით და ბოროტებით გააყოლა თვალი წვიმით გაწუწულს დიაბოლინას. შეიდა თუ არა თავის ოთახში, მაშინვე საკარძელში გადაეყენნა მოღლილი და მოკანკალული დიაბოლინა.—ქალს თავი საშინლადა სტკიოდა; დასველებულმა ტანსამოსმა აეკანკალა და სიცივით ცახცახი დაწყებინა; კბილი-კბილს აცემინებდა; გონება გაბრუებული ჰქონდა და ფიქრები ვერ მოეკრიფნა. «ოჰ, ღმერთო, ახლა ამოვიყრი ჯავრსა, ახლა!» მხოლოდ ამას-ღა ამბობდა დიაბოლინა თავის-თავად და თან ბაბანებდა სიცივით.

დიდხანს იყო ასე დიაბოლინა. აი საღამო ჟამიც მოახლოვდა. ვიღაცაც ფრთხილად დააკაკუნა კარი და შეახტუნა დიაბოლინა. ნეტავ, ვინ უნდა იყოსო? უთუოდ მენკაა. არ მინდა თვალით დავინახო, არაკინ არ მინდა, არავინაო. კარი კვლავ დაკაკუნეს, მაგრამ ახლა უფრო ძლიერ დაკაკუნეს, ვიდრე წინად; კაკუნს შემდეგ მოისმა სინიორ პასკვალეს ხმა, საცა ხეეწითა და ვედრებითა.

გეთის დაახლოვების სუნი მისდენია და თუ არ ამ გზით, სხვა ვერაფერი მოუხერხებია დაახლოებულნი ერთმანერთს დაამ�.

რასაკვირველია, მერმისის გამოცნობა დღეს ძნელია. არვინ იცის ხვალინდელი დღე რას მოიტანს. ჭოსაც იმოდენად საკმაო საბუთი აქვს დღეს, რამოდენადაც არას. პოლიტიკა საზოგადოდ და ნამეტნავად ინალინდელი სწორედ გაქანებულს საქანელასა ჰგავს, ხანერთი მხარე ადის მაღლა, ხან მეორე იმისდა მიხედვით თუ,—ვინ უფრო უკედ და ძლიერ იბუქნება საქანელის ფიცარზედ და რომელის მხრიდამ. ჩვენ აქ მარტო სახეში ისა გვქონდა, რომ დღევანდელის დღის აზრთა მდინარეობა ევროპიისა წარმოგვედგინა ზავთა შედგენის შესახებ და დანარჩენს ხომ დრო გამოარკვევს.

მინამ ეს ზავთა შედგენის საქმე ასე თუ ისე გადასწყდება, რა თქმა უნდა, დროს მოითხოვს და რომ ეს დრო ხელთ ჰქონდეთ, პოლიტიკამ ბოლგარიის საქმე დიპლომატებს ჩაუგდო გასაჭიანურებლად და გაჭიანურება ხომ დიპლომატების საქმეა. ჩვენა გვგონია, ეს ახალი ხანა ბოლგარიის საქმისა იმის მეტს არას მოასწავებს, რომ ვიდასაც ჭსურს დრო იქონიოს საპოლიტიკო მართულების სხვაფრივ ასატრიალებლად და სახელმწიფოების ერთმანერთში სხვა ფრივ გასაუვან-გამოსაუვანად. ცდა ბეჯის მონანევრეაო, ნათქვამია, და რაკი საცდელად დროც ეხლა საკმაოა, მოხერხებული კაცი არ იუარებს და შემთხვევას ცდისას არ დაჰკარგავს.

ახალი ამბავი

*** 2 თებერვალს ტფილისის სასულიერო სასწავლებლის ტაძარში

ტილდა, მე ვარ; გამიღე კარი, გთხოვ.

— საკვირველია! ამ ღელვასა და შფოთვაში ერთხელ არ მოაგონდა ტილდას თავისი კეთილი ბიძა, ეს ერთად-ერთი კაცი, რომელსაც გულწრფელად უყვარდა თავისი ძმის-წული. ახლა, გაიგონა თუ არა ამისი ხმა, მოაგონდა რა რიგად ეუყვარვარ ბიძაჩემსაო და გულმა მწველად დაუწყო ტკივილი. სჯობიან არ ვინახულო და ისე წავიდე აქედამო, იფიქრა დიაბოლინამ. კარს არ გაეუღებ, არ დავინახავ იმის კეთილს სახეს და დავიხსნი ჩემს თავს აუტანელის ტანჯვისაგანო.

— გამიღე კარი, გეეკერები, საქმე მაქვს შენთან, კვლავ მოისმა ხმა დიაბოლინას ბიძისა.

ამ ხმამ, რომელიც ამდენს ხანს მამაშვილურის თანაგრძნობით და მზრუნველობით იყო მუდამ სავსე დიაბოლინასათვის, გულ-ღვიძლი ჩასწყვიტა ქალსა. მიეიდა ნელა კარებთან, გააღო და უკანვე წამოვიდა, რომ სახე არ გამინათლოს სანთლის შუქმაო. პასკვალე შეეიდა და მიჰმართა დიაბოლინას, თუმცა იმისი სახე-კი ვერ შეამჩნია:

— საქმე მაქვს შენთან, სთქვა პასკვალემ დარცხვენითა.

ტილდა ჩუმად იყო და არ ინძრეოდა. ერთს წუთს მდუმარება ჩამოვარდა. კეთილს მოხუცებულს უნდოდა დაერღვია როგორმე ეს საშინელი მდუმარება, მაგრამ შესაფერი სიტყვები ვერ ეპოვა სათქმელად.

— ჩემო კარგო ტილდა, დაიწყო ბოლოს პასკვალემ როგორც იყო და ხმა აუკანკალდა:—რაც მამიდაშენსა და შენ შორის მოხდა...

დიაბოლინა შეაჯერჯოლა მამიდას ხსენებამ. პასკვალემ შენიშნა ესა, თუმცა არც-კი შეუხედნია დიაბოლინასთვის.

— მეტის-მეტად სამწუხაროა, საჩქაროდ დაუმატა პასკვალემ.

კვლავ ჩამოვარდა მდუმარება. მოხუცებულს იმედი ჰქონდა, რომ დიაბოლინა იტყვის რასმეო, მაგრამ ის მაინც ხმას არ იღებდა. ოთახში ცოტა არ იყოს ბნელოდა და პასკვალემ ძლიან შეამჩნია დიაბოლინას, რომ თვალის ქუთუთოები დაწითლებული ჰქონდა.

— გიტირნია განა? ჰკითხა პასკვალემ.

— არა.—უპასუხა დიდგულად დიაბოლინამ.

— გაჯავრებული ხარ, მემდურები?—განაგრძო კვლავ მოხუცმა. მე-მართლები-კი, მემართლები. მე მოვალე ვიყავ მეთქვა, მეტყვირთნა... მაგრამ ხომ იცი ჩემი ამბავი. მაშ შემიბრალე, ტილდა. მუდამ მიყვარდი, შვილო, თითქმის ისე მიყვარდი, როგორც ჩემი საკუთარი, მშობელი შვილი. შენ რომ გკარგავ, ასე მგონია, მარჯვენა ხელსა მჭრიან-მეთქი. არასოდეს ფიქრად არ მომსვლია, რომ ჩვენ ერთმანერთს დავშორდებოდით. მაგრამ რას იზამ? ჩემზე ძლიერი გარემოება შემეკიდა და მერეკა. ლიზას სურვილს ვეღარ გავუმაგრდი და ვეღარსად წაუვედი... ვიცი და ვხედავ-კი, რომ უსამართლოდ გეკიდება. და აი მოვედი და გთხოვ, რომ შეუნდო და აპატიო იმასაცა და მეცა...

— მე თქვენ არაფერს არ გემდურები,—უპასუხა ყრუდ ტილდამ—მაგრამ სინიორა ევრონიკასა და ლიზას-კი არასოდეს არ შეეუნდობ...

— გული მოიბრუნე, ტილდავ... ევრონიკას თავი დავნებოთ თუნდა, მაგრამ ლიზას... ლიზა შესაბრალისია და შესაცოდავი. აბა იმის ალაგას შენი თავი წარმოიდგინე. ლიზას უყვარს ის კაცი.

— მეც მიყვარს!—შეჰყვირა დიაბოლინამ და ფეხი წინ გადადგა.

— შენც გიყვარს? გაშტერებით გაიმეორა პასკვალემ. მაშ ის კაცი მართლა საძაგელი რამ ყოფილა.

—არა, არა. არც ის, არც მე, არაყინ არ არის აქ დამნაშავე. ლიზამ რომ ის დაჰკარგოს, პატარა ხანს იტირებს და მერე გადაავიწყდება, თავს ინუგეშებს რითმე; მე-კი სამუდამოდ გამუბედურებს იმისი მოშორება.

— შენ სცდები. შენც ინუგეშებ რითმე თავსა. დრო და ჟამი სასწაულთ-მოიმქმედია. ლიზას გაგიყენებთ უყვარს ალბერტო. იმისი მოშორება სიცოცხლეს მოუსპობს.

*** 14 თებერვალს, კვირა საღამოს, ჩამოიყვანეს გორიდამ რკინის გზით ფოლისში ათი აეადმყოფი ჯარის-კაცი ახლად შემდგარის დრუჟინებისა. აქამდე აეადმყოფ ჯარის-კაცებს სურამის სამკურნალოში ჰგზავნიდნენ გორიდამ, მაგრამ რაკი იქ ცოტა ეიწროობაა, ამიტომ ახლა ტფილისში დაუწყეს გზავნა, ნავთლულის სამკურნალოში.

*** ეს ერთი კვირაა, ვერის ხიდზე აღარა მუშობს ცხენის რკინის გზის ეაგონი. მიზეზი ის არის, რომ ხიდის აღმართში დაიწია ნაყარმა მიწამ და ლიანდაგი ისე დადაბლდა, რომ ეაგონს ალაყი (ტორმოზი) ვეღარ იმაგრებს და ერთხელ დაქანებული ეაგონი ხალხით სავსე კინაღამ არ გადაბრუნდა და ხალხი ხეში არ გადაჰყარა. დღესაც ჯერ არაყინ შესდგომია ამ ლიანდაგის გასწორებას. თუმცა მართალი-კი უნდა ითქვას, რომ რა წესზედაც აქ ცხენის ეაგონს ამუშავებენ, იმ წესით სრულებითაც რომ აღარ ატარონ, არაყინ იზარალებს: საათში ერთხელ ძლივს გაიკლის ეაგონი და ისიც ბილეთით ვერის ეაგონზე-კი შეგიძლიან გადახვიდე და გოლოვინის პროსპექტის ეაგონზე-კი არა, მაშინ-როდესაც კუკიიდამ იშვიათად დაიარება ხალხი ვერაზედ. მიზეზიც ეს არის, რომ მგზავრი ისევ ფეხითა რჩევობს სიარულს—აღარც საათობით ლოდინი სჭირდება და ერთის აღმართისათვის აღარც შაური ეკარგება. ბელგიის უსახელო საზოგადოებასა ჰგონია, რომ არა უშავს-რა, ფეხით ავიდნენ პროსპექტამდე, იქ ხომ მაინც ჩასხდებიან ეაგონშიო. საქმეც ის არის, რომ აღარც იქა ნდომულობენ. თუ-კი ამოდენა მანძილი ფეხით გავიარე, ეხლა ტროტუარზე რაღად მინდა ეაგონიო—ასე ჰფიქრობს მგზავრი, რომლისათვის ერთი შაურიც ფულია. სრულებით სხვაფრივ იფიქრებდა ესევე მგზავრი, უკეთუ თავის შაურით ვერის ხიდიდამ თამამშოიეის ქარვასლამდე გაიყვანდა ეაგონი, როგორც გაჰყავს თითქმის ჯერამდე. მაშინ ხალხსაც შეღავათი ექნებოდა და ბელგიის უსახელო საზოგადოებასაც დიდი შემოსავალი გაუჩნდებოდა, რადგან ხალხი ძალიან ბლომად დაიარება შუა ქალაქისაკენ ვერის ხიდიდამ და საზოგადოდ კუკიიდამ.

*** ბ-ნს ნიკოლოზ მარრს, რომელიც პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობს აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტზე და რომელიც სხვათა შორის ქართულ ფილოლოგიასა და ისტორიასაცა სწავლობს, წარუდგენია უნივერსიტეტის საბჭოსათვის თავისი თხზულებაცა. საბჭოს მოსწონებია ბ-ნ მარრის თხზულება და ვერცხლის მენდალის ღირსად უცვნია.

*** 13 ამ თთვეს, საღამოს 7 საათზედ, რკინის გზის სადგურთან მდგარა ერთი მეპოვოსკეკ, სოფ. ჯელალ-ოღლის მცხოვრებელი, სოლომონ საკოვი, თავის პოეოსკით. ამ კაცთან მისულა ეიღაც იმერელი და დაუქირავებია აეპალამდე ორ მანათად, იმ პირობით, რომ იქიდგან ნივთები უნდა წამოიღო ტფილისშიო. მეპოვოსკეკს ჩაუსვამს ეს უცნობი კაცი და როდესაც მიუყვანია ბრმა-ღელმდის, ამ კაცს დაუწყია ჯერ ხელით ცემა მეპოვოსკისათვის და მერე კეტით რამდენსამე ალაგას თავი გაუტეხია. როცა მიმიდ დაჭრილი მეპოვოსკეკ გადმოვარდნილა პოეოსკიდამ, ძალა-წართმეული და უგონო, იმერელს ცხენი გამოუშვია პოეოსკიდგან, შემჯდარა და წასულა. ჯერაც არ უპოვნიათ ეს კაცი. ტფილისის მაზრის უფროსისაგან გაგზავნილნი არიან ჩაფრები და მოხელე ამ საქმის გამოსაძიებლად.

*** კახეთი: განაჩენის მოსპობიდგან ქორდ-ავაზაკებმა ისევ დაიწყეს

— რა სათქმელია, უპასუხა დაცინვით და შეიმშუშნა მხრები დიაბოლინამ.

— სწორედ მართალია. ლიზამ თავისი გული და სული ალბერტოს შესწირა. ერთად-ერთი შვილი მყავს და იმის სიკვდილს ხომ ვერ მოგონდომებ! ეგ არის, მაგ ერთს შვილს შევსაკერი, მაგის მეტი სხვა ვიღა დამრჩენია ცხონებულის ძალუა შენისაგან.

ტილდას გული გადმოუქანდა ძალუას ხსენებაზედ. უცაბ მოაგონდა ლიზას დედა, ის თავისი კეთილი-მეოფელი და გულ-შემატკივარი. მოაგონდა, რომ იმ ღვთისნიერმა ადამიანმა შემიკედლა და გამომზარდა მამითა და დედით ადრე და მალე დაობლებულიო. დიაბოლინას თვალ-წინ გამოეხატა მშვიდი და წყნარი სახე განსვენებულისა, რომელიც თითქო ღრმად მოწყენილი ნაზად შესცქეროდა თავის გაზრდილს მაზლის-წულსა.

— ხომ არც შენ დაგვიწყებია ძალუა შენი? განაგრძო პასკვალემ. ხომ გახსოვს ის წმინდა ადამიანი! ოჰ, რა რიგად უყვარდა თავისი ლიზა! სიკვდილის წინად მე ჩამბარა და სულ ამას მეუბნებოდა: «ეს გამიბედნიერეო». აღთქმა მიეეცი განსვენებულს, რომ შენს სურვილს ავასრულებ-მეთქი. დღეს შენ გეხვეწება და შენც ამასვე გთხოვს. გეეკერები, გაფიცებ იმის სახელს, ნუ დამტოვებ უნუგეშოდ.

— კმარა, კმარა!—სთქვა განწირულებით ტილდამ და ხელები მიიფარა სახეზედ.—ნუ თუ არა ჰხედავ, რომ შენი სიტყვები გულს მიკლავს და მიწყლულებს! გეფიცები, რომ წინ აღარ გადავეღობები და არ დაეუშალი ლიზას ბედნიერებას, შენ-კი, ჩემო მეორე მამავ, გმადლობ ყველაფერისათვის, რაც სიკეთე დასთესეთ და რაც ზრუნვა გასწიეთ ჩემთვის. წავალ ამ სახლიდამ, წავალ გულ-დამწვარი და დაწყლულებული, მაგრამ გამბოროტებული-კი არა.

— იმედია, რომ დიდხანს არ ეიქნებით განშორებულები. ეინ იცის, იქნება ოდესმე, როცა ჩემი ლიზა მარტოს დამტოვებს...

დიაბოლინამ ეღარ მოითმინა და სიტყვა გაუწყვეტინა პასკვალეს:

— ნუ ეიფიქრებთ იმას, რაც მოსავალია; სჯობს იმას გაეუმართოთ უშიშრად თვალი, რაც ღღეს გვაწუხებს... მე მოვიღალე, აღელვებული ვარ; მგონია, მაციებს.

— ეხლავ წავალ, რახან...

— წასელამდე ნება მომეცი გამოგეთხოვო.

— გამომეთხოვო?

— დიაღ, ხვალ ისეთ დროს წავალ, რომ ყველას გეძინებათ.

— არა, მე ზეზე ეიქნები იმ დროს. მინდა ერთხელ კიდევა გნახო, გაგაცილო.

— ნუ, ნუ, ბიძაჩემო! გაშორება უფრო დაგვიმძიმდება და დაგეაღო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკმედება. ამ განაჩენით სოფლის ნაზარალევი სოფელსაც უნდა ეწყინა და ამიტომაც ყველა ჰფრთხილობდა, სხვის კეთილსაც ისე ეფლებოდა ფარვანად, როგორც თავისას და ქურდებს კრიბაში უდგა. «სოფელი ღონიერიანია», ნათქვამია, და მართლაც ეიდრე სოფელი ჰუნიზლობდა, ქურდ-ავაზაკებსაც ხელ-ფეხი შეკრული ჰქონდათ. ეხლა კელავ აიდგეს ფეხი ავაზაკებმა და გამოვიდნენ მოედანზედ საბურთაოდ. ჯერ მუდანლოელი თათრები ტყავს გვაძრობენ და იმედია, არც ახატლელები ჩამორჩებიან თავის თანამომძეებს უკან, პატრონობას გაგვიწევენ. მაგრამ არც ისე უპატრონოდა ვართ დატოვებულნენ, არა გვიპირს-რა, მუდანლოელ თათრების წყალობა ჯერ არ გვაკლია: კამბეჩები იკარგება, ვენახში ვეზებსა ჰკაფავენ, ხალხსა სცარცავენ, ერთის სიტყვით, ძაღლი პატრონს ვეღარ იცნობს. თუ მუდანლოელი თათრებს ახატლელებიც მიემატნენ, მაშინ-კი აიღე, კახელო, ჯოხი და აჰყე საქონლის ძებნასა...

*** ამერი-კავკასიის რკინის გზის მმართველობას განზრახვა აქვს საკუთარის ხარჯით გაჰმართოს ხაშურში ორ კლასიანი რკინის გზის სკოლა. ამის თაობაზე ხსენებულს მმართველობას, სადაც ჯერ ა-ს, თხოვნაც შეუტანია. („Пет. Вѣд.“-ი)

*** ამ დღეებში გარდაიცვალა ანნა იოსების ასული ბუდაღოვისა, ას ხუთის წლისა. განსვენებული 40 წელიწადზე მეტსა ბებიაობდა და იმოდენად ჯან-მრთელი იყო, რომ მხოლოდ წელიწად ნახევარია, რაც თავი დაანება ბებიაობასა. ხოლო არც ეს წელიწად-ნახევარი გაუტარებია უსაქმოდ მოხუცს დედაკაცს. ხან ოჯახს უვლიდა, ხან რამე ხელ-საქმეს აკეთებდა. ამ ხუთის თვის წინად-კი მხედველობამ უღალატა. განსვენებულს დარჩენია ერთი შვილი—68 წლისა და ერთი ქალიშვილი—75 წლისა, სამი შვილი-შვილი (სულ უცროსი ამათგანი 46 წლისაა), ათი შვილის-შვილის-შვილი; ამათგანი სულ უმცროსი 17 წლისაა. განსვენებულს სიცოცხლე ისე გაუტარებია, რომ არც ერთხელ ავად არ გამხდარა. სიკვდილის წინად შვილებისათვის გადაუცია თავის სამკვდრო ფული—170 მან. («Кавказъ»-ი)

*** 14 თებერვალს ბოლიციის 1 ნაწილში გლეხის ივანე ლიშენშვილის სახლიდგან, იმის იქ არ ყოფნის დროს, გუტანაით ოქრის და ვერცლის ნივთები 179 მანეთისა. დამნაშავეთა აღმოსაჩენად და ნაქურდალის სამოვნელად ღონის-ძიებაა მიღებული.

*** 15 თებერვალს 1-სავე ნაწილში, აგურჩანების ქუჩაზედ, ანნა ვისარიონის სახლის საკუჭნაო გუტუხნიათ და გუტანაით სპილენძეულობა 35 მანეთისა. გამძიება სწარმოუსს.

*** 15 თებერვალს 1-სავე ნაწილში, ბეურნანების ქუჩაზედ, ანნა ვისარიონის სახლის საკუჭნაო გუტუხნიათ და გუტანაით სპილენძეულობა 35 მანეთისა. გამძიება სწარმოუსს.

*** 15 თებერვალს ღამეს ბოლიციის მე-7 ნაწილში ტფილისის მე-2 გიდღის ვაჭრის, სოლომონ გაბაევის, არყის საწყობის გარეთ კარები გუტუხნიათ და დანლიდგან წუღიათ 150 მან. გამძიება სწარმოუსს.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝ

15 თებერვალს

მთელი საღამო საბჭომ მოანდომა ამ წლის ხარჯის აღრიცხვის განხილასა და მაინც ვერ გაათავა. ერთიერთმანერთზე მოისმინა ყოველი მუხლი გამგეობის მიერ წარდგენილ ხარჯის პროექტისა და თითქმის მთელი პროექტი შეუცვლელად შეიწყნარა საბჭომა. გაცხარებული ბაასი არც ერთის ადგილს ხარჯისას არ გამოუწვევია. მარტო თითო-ოროლოზე ხან ერთი ხმოსანი გამოსთქვამდა თავის აზრს, ხან მეორე, მაგრამ რაკი მოისმენდნენ გამგეობის მიერ წარდგენილ საფუძველსა, საბჭო ხმის უმეტესობით ეთანხმებოდა გამგეობის წინადადებასა. მაგალითად, ბაასი ჩამოვარდა შესახებ ხარჯისა მილის-წყალზე. ვარაუდით ამ წელს მოუნდება მილის წყალს ხარჯი 36,548 მანათი. ამ რიცხვში ექვს ასი თუმანი ნაანგარიშევია აქვალის არხის გამაგრებისათვის. ამბობდნენ, რომ მაგდენი ხარჯი არ მოუნდება და ნახევრამდე შეეამციროთო.

ქალაქის თავი. შესაძლოა ამდენი აღარ მოუნდეს, რაკი ზარშან გავამაგრეთ ნაპირები. მაგრამ რადგან საქმე ჯერ ახლია, ამიტომ იყოს გადადებული ექვს ასი თუმანი და თუ არ მოუნდა, ეგ ფული ხომ არსად წაგვიყვანია ხელიდამ, ისევ ქალაქს დარჩება.

გეასენგოფი. ექვს ას თუმანს ნუ-ას მოვაკლებთ. ვაი თუ მტკვარმა მოიგიჟიანოს თავი, გაგვიფუფუს ზღიუზები და ფული-კი მზად აღარა ჰქონდეს მილის წყალის ზედამხედველს. ძალიან ცუდი იქნება და საქმე შეფერხდება, ამიტომ-რომ სანამ გამგეობა ფულს მოსთხოვს საბჭოსა, სანამ ეს უკანასკნელი დაამტკიცებს, მინამდის მტკვარი ერთიან გააოხრებს ზღიუზებს. დეე იყოს თავდარეგად ეგ ექვს ასი თუმანი. ეგ არც ყაირათიანობას დაუშლის რასმე. მაგალითად, მაშინს გაობრა შესაძლოა მაზუტით მოეახერხოთ, მაზუტი უფრო იაფიც არის და სითბოც მეტი აქვს ნახშირზედ. ეხლა ნახშირი გვიჯდება წელიწადში ორ ას თუმანზედ მეტი, მაზუტი-კი სულ ასის თუმნისა ეყოფა.

საბჭომ დაამტკიცა ექვს ასის თუმნის ხარჯი ზღიუზებზე, და დაადგინა, რომ ბ-ნ ვეიასენგოფის აზრი მაზუტის თაობაზედ გარდაეცეს კომისიას, რათა გამოიძიონ, მაზუტით უფრო სარფაა მაშინს გაობრა თუ ტყიბულის ქვა-ნახშირით.

ცოტაოდენი ბაასი გამოიწვია აგრეთვე ქუჩების ქვით მოფენამა.

ივანენკო. დროა გადავადგოთ ეს სპარსული წესი ქუჩების დაფენისა, თორემ ათას თუმნობითა ეხარჯავთ და ქუჩები-კი მაინც გროშად არ გვეღირება.

ვეასენგოფი. რასაკვირველია, კარგი იქნებოდა, რომ სხვა მასალით დაგვეფინა ქუჩები, მაგრამ ჯერ ეხლა ამ სპარსულის წესით ოთხ-კუთხის საქენის მოფენა გვიჯდება სამ მანეთზე მეტი და უკეთესი მასალა უფრო ძვირად დაგვიჯდება. წელიწადში ასი ათას ოთხ-კუთხ საქენზე მეტსა ეფენთ და სად უნდა ვიშოვნოთ მაგოდენა შეძლება. ისევ სჯობია გავურიგდეთ, რომ სულ ერთის ზომის ქვით დაფინონ. ამ შემთხვევაში ეტლების თვლები ვეღარ გაადუფუქებენ ისე, როგორც ეხლა აფუქებენ ქვა-ფენილსა.

ივანენკო. გარდა მაგისა, ფუნი იჯარადარი დაჰფენდა კარგა მოზრდილს ნაპერს ქუჩისას და მხოლოდ შემდეგ წაიყრიდა ქვიშასა. ჩვენ ამით შეგვეძლო გაგვეცინჯა იმისი ნამუშაური. ეხლა-კი მოჰფენენ ერთს საქენს მიწას და მაშინათვე წაიყრიან ქვიშასა, რა არის, ჩვენ ვერა გავსინჯოთ-რა. ვინ იცის, როგორ აკეთებენ, რა ღირსებისაა იმათი საქმე?

ქალაქის თავი. უინჟინეროდ არ შეუძლიანთ დააყარონ ქვიშა.

ივანენკო. თითო საქენზე არ ივლის ინჟინერი სანახავად.

ქალაქის თავმა კელავ გაიმეორა, რომ უინჟინეროდ ვერ წაიყრიან ქვიშასო, და შეატყობინნ საბჭოსა, რომ ივლაბარში ოთხის წლის განმავლობაში გაკეთდა და დაიფინა 27 ქუჩა. წელიწადში სულ ას-ასი თუმანი-კი იხარჯებოდა ამ საგანზეო.

საბჭომ შეიწყნარა ეს მუხლიც ანგარიშისა.

ცრეა ცოტათი შეაფიცხა მოსხენების წინადადებამ, რომ ტროტუარი გაემართოთ ვერის ხიდზეო.

ჭოჩორიანცი. ვერის ხიდი უმაგისოდაც ზარალს გვაძლევს და რაღა საჭიროა ახალი ზარალი მივცეთ ქალაქს ხიდის ნამტვრევ გალაზათიანებისათვის. ფეხით მოსიარულენიც რომ გავლა-გამოვლის ხარჯს იხდიდნენ, კიდევ შეიძლებოდა, თუ არა-და ისევ სჯობია, სხვა რამეზე დაიხარჯოს ეგ ფული.

მაქალაძე. ეგ ნამეტანი გალაზათიანება-კი არ არის, გარიგიანებაა. იმოდენა ფული მიგაყარეთ ხიდსა და მაგ ერთი ბეწვა ხარჯის უარი ნამეტანი წუწურაქობა იქნება. მართალია, უადგილო იყო მაგ ხიდის გაკეთება და ფულის ჩაღუპვა, მაგრამ რაკი გაკეთდა—გაკეთდა. ეხლა რაღა დროსია მაგაზე ლაპარაკი.

ვეასენგოფი. ვერის ხიდის გაკეთება უადგილო-კი არა, დიდად სასარგებლოა მოქალაქეთათვის. კუკია და ვერა, ეს ორი დიდი ნაწილი ქალაქისა, შეაერთა მაგ ხიდმა. უადგილო რად იქნება ეგ ხიდი!

ქალაქის თავი. თუ შემოსავალზე მაგრე ეინაღვლით, მა'შ არც ციციანოვის აღმართი იძლევა შემოსავალს და არც ის უნდა გაგვეკეთებინა?

იზმაილოვი. ტროტუარის დაფენა უფრო გააადვილებს ფეხით სიარულს. მოსიარულე ხალხი ბლომად მიაწყობება. ეს გარემოება უეჭველად გაახშირებს ეტლების სიარულსაც და აქედამ შემოსავალიც იმატებს.

საბჭომ დაადგინა ტროტუარით დაფენა ვერის ხიდის ჩამოსავალისა. შემდეგ იბაასეს ქუჩების მორწყვა-დაგვაზე. ბ-ნმა ქოჩორიანცმა საფუძვლიანად შენიშნა: ქუჩებსა ჰგვიან ღილით, როდესაც მრავალი შეგირდები მიდიან სკოლებში, და ეს საზიანოა მათთვისაო. ყველანი დასთანხმდნენ ამაზედ. მორწყვისათვის გადიდო 17,691 მანათი, ხოლო დაგვისათვის 35,000 მ. წელიწადში.

სახელმსნო სასწავლებლისათვის წელიწადში 500 მ. მეტი ინიშნებოდა მასალის საყიდლად. ეს ფული მუდამ რჩებოდა, იმდენი მასალა არ უნდებოდათ შეგირდებს. ამიტომ 500 მან. დავაკლოთ სახელმსნო სასწავლებელსაო.

ვეასენგოფი. რადგან ეგ ფული მეტი ყოფილა, კარგი იქნება გადავდოთ

ნეს... მშვიდობით, უფალმა გილხინოს და ერთი-ორად გადაგიხადოს შენი ზრუნვა და ამაგი.

პასკვალე გადეხვია და აკოცა დიაბოლინას გაცხელებულს შუბლზე. კეთილი მოხუცებული ტიროდა. დიაბოლინას თვალებზე ცრემლი არ მიეკარა; მხოლოდ ოდნავ გაეჭყოლა. სხვაფრივ-კი დამშვიდებული იყო. მაგრამ, როცა იმისი ბიძა გასცლას აპირობდა, აღელვებულმა დიაბოლინამ მიატანა.

— შენთან ერთი სათხოვარი მაქვს. ერთხელ კიდევ მითხარ, ჩემო შვილო-თქო.

გულ-ეაზუყებული პასკვალე კელავ მოეხვია დიაბოლინას და თვალ-ცრემლიანმა აკოცა რამდენჯერმე.

— შვილო, ჩემო ძვირფასო შვილო!..

დიაბოლინამ გაინთავისუფლა თავი, მოიშორა მოხუცებული და აიკეტა თავის ოთახში. პატარა ხანს ადგა უძრაველ: თავი უზარდა, გული ტკივილითა და კენესით უძგერდა, კარგად არ იცოდა, რა მემართებაო, მაგრამ ჭვრეტნობდა-კი რომ საშინელს ტანჯვასა და წამებაში იყო. საჩქაროზედ ფანჯარასთან მივიდა და თავი ღამის გრილს ნიავს მიუშვირა.

ქარი ჩაგრდა; ალაგ-ალაგ ვარსკვლავებით მოიჭედა ცა, მთვარე ღრუბლებიდამ მალ-მალ გამოჩნდებოდა ხოლმე. დიაბოლინა შეცქეროდა ყოველსაე ამას, თითქო სიხარშიაო და პატარა ბავშესავით აეტეხებინა: «გათავდა ყოველივე!.. აღარა დამრჩა-რა ქვეყნადა. რაღა წყალში გადავარდე? სად წავიდე? როგორ-ღა ვიცოცხლო და ან რაღა საქმეა!»

მთვარემ სძლია ბოლოს ღრუბლებს, გამოკაშკაშდა ცაზედ და მოჰფინა თავისი ნათელი ხეობას, გზასა და მდინარეს, რომელიც ავდარს შემდეგ აღელვებულიყო და არე-მარე თან მოჰქონდა.

ტილდამ მოიგონა, რამდენჯერ მინახავს ამ დროს ალბერტო ამ მთვარით გაშუქებულს გზაზედაო.

— მტკიცე არ ვიყავ, — იფიქრა ტილდამ—ავყევი სისუსტეს, მაგრამ სამაგიეროდ სასტიკად-კი დავისჯე! ახლა ყოველივე გათავდა. რისთვისღა მინდა სიცოცხლე?

თან-და-თან უფრო და უფრო მეტის აბრიბით და ჭირვეულობით ეკითხებოდა დიაბოლინა ასე თავის თავს. უცნაური, უგუნური აზრები ერთი-ერთმანერთზე მოსდიოდა ფიქრად: ალბერტო მოვა დანიშნულს ალაგსაო; მერე რა იქნება, რომ ვუღალატო ამ აღთქმას, რომელიც მივეცი ბიძაჩემს, წაყვე ჩემს სატრფოს, დავსტკბე იმასთან ბედნიერებით, ნეტარებით; ახლო ყოფნით ერთს თთვეს, ერთს კვირას, თუნდ ერთს დღეს მაინც და მერე თავი მივსცე სიკვდილსო? ოჰ, ლიზა თავს მოიკლავს ტირილითა! დიაბოლინამ გადიხარხარა უცნაურის ხარხარითა. სული ბოროტი კელავ მოესია და მაცდურებამ უფრო მეტს ძლიერებით გაიტაცა. აენთო გონება და ანთებულმა გონებამ თვალწინ გაუტარა ნეტარება სიყვარულისა; ეშხით თრობის ლოდინმა წინ სამოთხე დაუსახა.

— ალბერტო, ალბერტო! ვულამოსაკვნინ წამოიძახა დიაბოლინამ და გაიწოდა ხელები ფანჯრისაკენ.

სწორედ ამ დროს გაისმა ღამის მეუფლოებაში მინაზებული ხმა კენესისა. ეს ხმა თომაზოს ფლეიტას ხმა იყო. საცოდავი თომაზო, ფლეიტით უნდოდა აღმოეთქვა განუსაზღვრელი თავისი მწუხარება, დარდი და ვარამი თავის გულისა. ფლეიტაც ტიროდა, მოსთქვამდა უნუგეშოდ, მაგრამ წყნარად და უბოროტოდ; არ ისმოდა არც ჩივილი და არც ფრტენვა, არც წყველა და არც კრულვა.

დიაბოლინა იდგა და ისმენდა ფლეიტის გულ-საკლავს ხმას. გული კელავ დაუშვიდდა და ახლა სხვა გრძნობამ შეიპყრო: ენანებოდა თავისი თავი, თავისი ყმაწვილ-ქალობა, ემდურებოდა თავის უიღბლობას, მაგ-უკუღმა ბედის-წერას. დიაბოლინამ თავი დაჰხარა, დაეწდო ფანჯარას და აუდუღდა გული,—ცხელი ცრემლები ღაპა-ღუპით სცვიოდა თვალთაგან. ტირილმა უშველავთა; სისუსტემ ცოტაოდნად გაუჯრა.

— საწყალი და საცოდავი თომაზო! — გაიცლო გულში დიაბოლინამ. — ისიც უბედურია, ისიც იტანჯება, ისიც იწვის და იდაგება.

უცნაურმა ფიქრმა გაუელვა დიაბოლინას.

— რა იქნება, რომ მივიდე თომაზოსთან, მოვეხვიო და ვუთხრა: თომაზო, შენი ვარ, საუკუნოდ შენი ვიქნები! მე ვერ ვპოვე ბედნიერება და შენ მაინც იყავ ბედნიერი.

დიაბოლინამ თავი გააქნია უარის ნიშნადა.

— რა უგნურებაა! — წაილაპარაკა ჩუმად. არ მიყვარდეს კაცი და გაეყვე-კია! ეს ხომ უგუნურებაზედ უარესია... ეს ხომ სულ-მდაბლობა იქნებოდა! არა, არა. ხსნა აღარ არის. ჩემს ბედს ველარსად წაუვალ.

ზორს გზაზედ, რომელიც მთვარიანს ღამეში თეთრის ზოლივით მოჩანდა, დიაბოლინამ შენიშნა, რომ გზა-გზა რაღაც მოდიოდა გამალებული შავის ფერტილივითა; ეს შავი ფერტილი ეტლი იყო. დიაბოლინამ გაეკრო სანთელი, მოზორდა ცოტათი ფანჯარას, ხელი ამ შემაჩნიონო, და გაფაციცებით დაუწყო ეტლს ყურება. ეტლი გაჩერდა ხიდის ყურთან; ეიღაც კაცი გამოვიდა ეტლიდამ და ხიდის მოუთმენელობით დაიწყო წინ და უკან სიარული. ტილტამ იცნო მოხდენილი და ტანადი ალბერტო. ამ დროს ღრუბელი გადაეფარა მთვარეს და მთელს ხეობას სიბნელე მოეფინა. საათმა ათი დჰკრა. დიაბოლინამ თვალი მიაყო-მოაყო. ოცდა ოთახს, თითქო უნდა სამუდამოდ გამოეთხოვოსო.

-- უკანასკნელმა ჟამმა დარეკა! — წარმოსთქვა ნელის ხმით დიაბოლინამ, დაიჩოქა და დაიწყო ლოცვა. ლოცულობდა უსიტყვოდ, მაგრამ გულ-მხურვალედ-კი. რა ლოცვა გაათავა, დიაბოლინა წამოდგა, ჩაიარა კიბე და გაეშურა ხიდისაკენ.

ალბერტო ჰხედავდა, რა ნარნარითა და რხევით მოდიოდა დიაბოლინა, როგორ მოუახლოვდა ხიდის ყურს, შეჩერდა ერთს წუთს, თითქო ფიქრმა წაიღოვო, მერე შესდგა ხიდზე და გასწია წყნარად. ალბერტოს სიხარულით გულმა ცემა დაუწყო და ხელები გაიწოდა ტილდასაკენ. ტილდა ამ დროს შუა ხიდზე იყო. აქ კიდევ შესდგა ერთს წუთსა. მთვარეს დაეღწია თავი ღრუბლებიდამ და კაშკაშში გაჰქონდა. ალბერტომ შეამჩნია, რომ ტილდა იმისკენ იცქირებოდა და თვალები უცნაურად უბრწყინავდა; ალბერტოს ისე მოეჩვენა, ეითომ დიაბოლინა ნელის ხმით მეძახის: «მშვიდობით, მშვიდობითაო!» ამის შემდეგ ალბერტომ დინახა, რომ დიაბოლინა წყალში გადავარდა.

ალბერტო გადაერია აღელვებულს წყალში და თან გადაჰყვა დიაბოლინას, მაგრამ შეეტლემ დროზედ მოასწრო, რის ეაი-ეაგლახით გამოათრია წყლიდამ და ცოცხალ-მკვდარი მოიყვანა ბინაზე.

დიაბოლინას გვამი მეორე დღეს იპოვეს კარგა მოშორებით. ტირიფის ფესვებს გამოდებოდა იმისი ტანსაცმელი და შორს აღარ გაეშვა.

ამ ამბის გამო სინნორა ვერონიკამ ხოლოდ შემდეგი ულმობელი სიტყვები ჰპოვა სათქმელად:

— ის უნამუსო, ისა! ალბერტოსთან უნდოდა გაქცეულიყო... და ღმერთმა დასაჯა ამისათვის!..

გრ. ყ—ძე

კავკასიურ ჩუქურთმებისა და ორნამენტაციის სწავლებისათვის. შეგირდნნი ეხლა ასწავლიან რუსულსა და უცხო ქვეყნების ორნამენტაციას, რომელიც სრულებით არ გამოადგებათ თავიანთი ხელობაში.

შემდეგ მაასისა საბჭომ დაადგინა — წელიწადში 200 მანეთი ეძლეოდეს სახელოსნო სასწავლებელს ადგილობრივ ორნამენტაციის სასწავლებლადაო.

აქამდის წელიწადში 326 მანეთი შეჰქონდა ქალაქს სამუსიკო სასწავლებლის სასარგებლოდ, ამ ფულით სწავლობდა ექვსი სტიპენდიატი ქალაქისა. რადგან სამუსიკო სკოლის საქმე კარგად წავიდა, ნუღარ მიეცემთ ამ შემწეობასაო.

ადამსნაოი. 326 მანათის ძლევა ნუ გვონიათ შემწეობა იყოს სამუსიკო სკოლისათვის. ამ სკოლას სრულიად აღარ უჭირს თქვენი შემწეობა და კარგა ხანია აღარც იღებს ქალაქისაგან შემწეობასა. ეგ 326 მანათი იხარჯება ქალაქისაგე სტიპენდიანტებზე, რომელთაც უმაგისოდ არ შეუძლიანთ მუსიკის სწავლა. მაგ ფულს თუ აღარ გასცემთ, სამუსიკო სკოლა-კი არას დაჰკარგავს და თქვენ-კი იზარალებთ, რადგან ეხლა მაგ ფულით ექვსი ღარიბი ახალგაზდა მოქალაქე სწავლობს მუსიკასა, სამს წელიწადში ათავებს კურსსა და შოულობს თავისთვის ლუკმა პურს. ათავებენ თუ არა სწავლას, მაშინათვე შოულობენ ალაგსა და კარგს ჯამაგირსაც იღებენ. მაგ ცოტა ფულით ქალაქი დიდს მადლსა სჩადის და ამიტომ შეცდომა იქნება, რაღაც 326 მანეთისათვის კარები ამოუქოლოს ღარიბ ყმაწვილებს მუსიკის სასწავლებლად. საბჭო დასთანხმდა ბ-ნ ალიხანოვის მოსაზრებას და დაადგინა მაგ ფულის ძლევა.

ბოლოს ილაპარაკეს შესახებ გამგეობის წინადადებისა, რომ საბჭოს საქმეები ამას იქით აღარ დაიბეჭდება გაზ. «Нов. Обоз.»-ში, რადგან რედაქტორი უარზეა და ქალაქსაც ერთიორად ძვირად უჯდებათო. ამას იქით ცალკე უნდა ებეჭდოთო.

საბჭომ ამის ხარჯიც დაამტკიცა. ანგარიშის დანარჩენ მუხლთა განხილვა გადაიდო შემდეგისათვის.

ᲐᲕᲐᲖᲐᲙᲗᲐ ᲓᲐᲚᲘ ᲢᲧᲘᲚᲘᲡᲨᲘ

ამას წინად გაზეთებში წაიკითხავდით, რომ ტფილისის მაღაზიებში დაარბევან კრაკად ჩაცმული მეშტრები, ერთ-ერთი მთგანი პატრონს გაუბამს მესაიფსეს და სხვები-კი ამ დროს ხელისნად იპარავენ სხვა-და-სხვა საქონელსაო. ასეთი ამბავი დაადგა არა ერთსა და ორს მეფუძენს. შეატყობინეს პოლიციას, რომელიც შეუდგა ავაზაკთა ძებნასა. ბოლოს პოლიციის ოფიცერმა ბ-ნმა კ. სეიმონოვმა, მიაგნო კვალსა 9 თებერვალს და ორ დღეში ყველა მთგანი დაიჭირა, ასე რომ 15 თებერვალს პოლიციის მეხუთე განყოფილებაში ყველა წაკითხულ იქმნა საყურადღებო ოქმი ამ ავაზაკთა მოქმედებაზედ თვით ქურდების წინაშე, რომელიც ულის ირაფერში არ აღსდგებენ. აღმოჩნდა შემდეგი. სპარსეთის ქვეშევრდომს მარ-აღა იბრაჰიმ-ოღლის, შუა ხნის კაცს, შეუდგენია გუნდი კოსტანოვისა, ანდრია მარტიროსიანცისა და აღაჯან შაჰროზისაგან. მოუპარავთ თუ უყიდნია კაი ტანსაცმელი, მორთულან და დამდგარან ტფილისის სხვა-და-სხვა ნაწილებში. დანაშნულ დროზედ თურმე იკრიბებიან ერთად, თითბარობენ და შემდეგ მიდიან დაკვლაზე. შეკლენ მაღაზიაში დიდ-კიტეზედ, გაუმარჯვენ ბაასსა და ამ დაპირებენ ერთი ანორი მთაგანი იდაყვებს ჯიბეში საქონელსა. ამ სასით, მოიპარეს სხვა-და-სხვა მაღაზიებიდგან ეკრცხლის ხანჯალი, ბეირფასი საქონელი და სხვ. მოპარულ საქონელს ან აგარავებდნენ, ანა ჭიდიდნენ. ერთის ადგილს დაეკრიბენ-ბინთთ ეკრცხლის ხანჯალი და ეასცნობადნენ ეასესის პატრონს. შედიოდნენ ვითომც დასაგირავებლად და ამსოფაში ეჭეჭონდათ ხან ოქროს სამაჯურები, ხან ბეჭდები, სასაათი და სხვანი. ამ ეასესაში მიაგნო ბ-ნმა სეიმონოვმა ეკრცხლის ხანჯალსა, უნიფორმა ბაფარს წერილი, ეჭეჭეეა, ეჭეჭეეა და ნელ-ნელა შეატყობიეოს ჯერ ეასესტოვი და შემდეგ ამის წეადგენილი თითო-თითოდ ყველანი აღმოჩანნა. დღეს ოთხეეა ავაზაკი ბოლიციის ხელთა ჭეეავს, ამითის მოქმედებადამ ბეერი იეის, მაგრამ სულ-კი ჯერ კეერ. ავაზოკთ გუნდის მოთაეე მარ-აღა იბრაჰიმ-ოღლი ამბობს, რომ ესდა ჩეეი საქმე ხომ მორჩა, გთაეკვა, დაღეეეული ეარ და რადა დაეძალო ან ჩეეი და ან ჩეეის ამსგანეეანაა და ეუნდა ეეე